საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ.ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.11.2018

საჩივრის რეგისტრაციის №156/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ რ.ც.-ის მიმართ, სიითი №1007

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ რ.ც.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 6 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ.ხ.-მ და მოითხოვა ადვოკატ რ.ც.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი არის ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის მმართველი. ამავე ცენტრში ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა რ.ც., რომელსაც ეკავა შიდა მონიტორინგის კოორდინატორის პოზიცია. ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში მოხდა

რეორგანიზაცია - გაუქმდა ის შტატი, რომელიც რ.ც.-ს ქონდა დაკავებული ამასთანავე, გაუვიდა შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადაც, რის საფუძველზეც რ.ც. სამსახურიდან გაათავისუფლეს. საჩივრის ავტორის განმარტებით ცენტრში მუშაობის პერიოდში რ.ც. პარალელურად ეწეოდა კერძო საადვოკატო საქმიანობას და იგი თავის კლიენტებს ხშირად ხვდებოდა სამუშაო ადგილზე.

1.3 ნ.ხ.ს განმარტებით, რ.ც.-მ მისი გათავისუფლების ბრძანება გაასაჩივრა სასამართლოში და საჩივრის შემოტანის დღის მდგომარეობით საქმე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში იყო. მიუხედავად იმისა, რომ რ.ც.-ის მიერ მისი გათავისუფლების ბრძანება გასაჩივრდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, იგი ტელეფონის მეშვეობით უკავშირდებოდა სამსახურის თანამშრომლებს და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ემუქრებოდა მათ, რომ ყველას დაიჭერდა და მათ შორის თავად ნ.ხ.-ს. რ.ც.-ის აღნიშნულ მუქარას თანამშრომლების მხრიდან საპასუხო რეაგირება არ მოჰყვა, რამაც უფრო მეტად გამოიწვია მისი გაღიზიანება. რ.ც. ნ.ხ.-ს სოციალური ქსელის მეშვეობით აყენებდა შეურაცხყოფას შემდეგი ფრაზებით: „მე თქვენ დაგმარხავთ“, „მე თქვენ გაგანადგურებთ“, „ვერასდროს შვილს ვერ მოესწრები“, „ამოწყდები“, „ბოროტო და უბოროტესო, დაგწყევლოს უფალმა და გაგანადგუროს, ჩაბარდება მალე მოუსვლეთში წასულ არქივს, დამთავრდება შენი დრო, მეორედ აგღიძრავენ და მესამედ პროკურატურაში საქმეებს. ჩამოვიდე სტრაზბურგიდან! გამოგიჩიჩქნი ყველაფერს და სანამ სამართლებრივად არ გავიმარჯვებ შენზე, მანამ არ მოგეშვები. ბოროტო სულო“.

1.4 ნ.ხ.ს განმარტებით, ვიდრე ეთიკის კომისიას მომართავდა ადვოკატ რ.ც.-ის არაეთიკურ მოქმედებებზე, მიმართა ქ. ქუთაისის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომიტეტს, რათა მათ მიეღოთ შესაბამისი ზომები და რ.ც.-ს შეეწყვიტა უკანონო მოქმედებები, მაგრამ აღნიშნულის შემდეგ არათუ შეწყვიტა, არამედ პირიქით, ერთ-ერთ წერილში საჩივრის ავტორს მიწერა შემდეგი შეტყობინება - „წადი ახლა და მიჩივლე ადვოკატთა უფლებების დაცვის კომიტეტში“.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, რ.ც. ხვდებოდა მის მეუღლეს და ეუბნებოდა, რომ ნ.ხ.-ს დაიჭერდა. ანალოგიური შინაარსით ურეკავდა ძველ თანამშრომლებსაც.

1.6 საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატ რ.ც.-ის მოქმედებების შესწავლას და მის მიმართ შესაბამის დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ეთიკის კომისიის აპარატი ადვოკატ რ.ც.-ს არაერთი მცდელობის მიუხედავად ვერ დაუკავშირდა ადვოკატთა ერთიან სიაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე. 2018 წლის 9 ნოემბერს და 26 ნოემბერს ადვოკატთა ეთიკის კომისიის აპარატმა ადვოკატს გაუგზავნა ნ.ხ.-ს მიერ 2018 წლის 6 ნოემბერს წარმოდგენილი საჩივარი და დანართი ასლები, ადვოკატთა ერთიან სიაში მითითებულ ელექტრონულ მისამართსა და საცხოვრებელ მისამართზე. საფოსტო უკუგზავნილებით ირკვევა, რომ ფოსტის საშუალებით ადვოკატს გზავნილები არ ჩაბარდა მოუკითხაობის გამო. 2019 წლის 14 იანვარს ადვოკატ რ.ც.ს ეთიკის კომისიის აპარატის მიერ

კვლავ გაეგზავნა შეტყობინება ჩანიშნული საპროცესო სხდომის თარიღისა და ადგილის შესახებ, თუმცა უწყების ჩაბარება ვერ მოხერხდა მოუკითხაობის გამო.

2.2 ეთიკის კომისიის აპარატი ასევე შეეცადა ადვოკატ რ.ც.-ისთვის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომის თარიღის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. განხილვის კოლეგიამ სხდომა ჩანიშნა 2019 წლის 28 ოქტომბერს, რის თაობაზეც ადვოკატს შეტყობინება გაეგზავნა 2019 წლის 17 ოქტომბერს ადვოკატთა ერთიან სიაში მითითებულ ელექტრონულ მისამართსა და საცხოვრებელ მისამართზე. შეტყობინება ადვოკატს არ ჩაბარდა, ასევე ვერ მოხდა ადვოკატთა სატელეფონო საშუალებით დაკავშირება.

2.3 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ 2019 წლის 28 ოქტომბერს ჩანიშნული სხდომა გადადო 2019 წლის 18 ნოემბერს, რის თაობაზეც ადვოკატ რ.ც.ს შეტყობინება გაეგზავნა 2019 წლის 07 ნოემბერს ადვოკატთა ერთიან სიაში მითითებულ ელექტრონულ მისამართსა და საცხოვრებელ მისამართზე. ეთიკის კომისიის აპარატი ასევე შეეცადა ადვოკატთან დაკავშირებას ადვოკატთა ერთიან სიაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე, თუმცა კავშირი ვერ შედგა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2019 წლის 08 მაისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ რ.ც.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიუთითა, რომ ადვოკატი რ.ც. ნ.ხ.-სთვის შეტყობინებების გაგზავნის პერიოდში არ ასრულებდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საადვოკატო საქმიანობას, სასამართლოში მიმდინარე დავაში იცავდა პირად ინტერესს, მაგრამ ამ პროცესში მას უნარჩუნდებოდა ეთიკური ქცევის ვალდებულება, კერძოდ პროცესის მონაწილე პირის პატივისცემის ვალდებულება.

3.3 საპროცესო კოლეგიამ შინაარსობრივი თვალსაზრისით შეაფასა ნ.ხ.-ს მიერ ადვოკატ რ.ც.-ისგან შეტყობინების სახით მიღებული ფრაზები: „შენ ვის გაუბედე შენ უტვინოვ, სამსახურიდან გაშვება, არანაირი განათლება და კულტურა შენ არ გაგაჩნია, ადამიანობას, რომ თავი დავანებოთ, შენ ხარ გათამამებული და გრ. იოსელიანის ხელდასმული კორუმპირებული ადამიანი“; „ბოროტო სულო“; „შენ არ გაიხარე და არ მოესწარი დედობას“; „ბოროტო და უბოროტესო, დაგწყევლოს უფალმა და გაგანადგუროს, ჩაბარდები მალე მოუსავლეთში წასულ არქივს. დამთავრდა შენი დრო, მეორედ აგღიძრავენ და მესამედ პროკურატურაში საქმეებს. ჩამოვიდე სტრასბურგიდან! გამოგიჩიჩქნი ყველაფერს და სანამ სამართლებრივად არ გავიმარჯვებ შენზე მანამ არ მოგეშვები. ბოროტო სულო“. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის ქცევა და პროცესის მონაწილესთან მსგავსი შინაარსის კომუნიკაცია ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს, ვინაიდან იგი გამოხატავს პროცესის მონაწილე მხარის მიმართ აგრესიას, გამოყენებული ტერმინოლოგია არის ამორალური და მიუღებელია ადვოკატისათვის. გაჟღერებული სიტყვებით ადვოკატი ზიანს აყენებს პროფესიულ ღირსებას და საფრთხეს უქმნის ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის მოპოვებას.

3.4 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდრატით მიიჩნია, რომ თუ განხილვის ეტაპზე დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა რ.ც.-მ არაეთიკური შეტყობინებების გაგზავნით დაარღვია პროცესის მონაწილე პირის პატივისცემის ვალდებულება, ადვოკატის მიერ დარღვეული იქნება „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 5(გ) მუხლითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდგომ „ეთიკის კოდექსი") 9.4 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

4.1.1 ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში, რომლის მმართველია საჩივრის ავტორი ნ.ხ., შიდა მონიტორინგის კოორდინატორის თანამდებობაზე დასაქმებული იყო ადვოკატი რ.ც..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- საჩივრის ავტორის განმარტება (პარ.1.2);
- საქართველოს სახალხო დამცველი აპარატის მიმართ გაგზავნილი ადვოკატის განცხადება;
- 04/06/2018 წლის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო ირირდიული პირთა რეესტრიდან.

4.1.2 ნ.ხ.ს, როგორც ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის მმართველის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე ადვოკატი რ.ც. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანების გაუქმების მოთხოვნით რ.ც.-მ მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- საჩივრის ავტორის განმარტება (პარ. 1.3.);
- საქართველოს სახალხო დამცველი აპარატის მიმართ გაგზავნილი ადვოკატის განცხადება;

4.1.3 სასამართლოში დავის მიმდინარეობის დროს ადვოკატი რ.ც. ნ.ხ.-ს სოციალური ქსელის საშუალებით უგზავნიდა შეტყობინებებს, რომელიც შეიცავდა შემდეგ ფრაზებს: „შენ ვის გაუბედე შენ უტვინოვ, სამსახურიდან გაშვება, არანაირი განათლება და კულტურა შენ არ გაგაჩნია, ადამიანობას, რომ თავი დავანებოთ, შენ ხარ გათამამებული და გრ. იოსელიანის ხელდასმული კორუმპირებული ადამიანი"; „ბოროტო სულო"; „შენ არ გაიხარე და არ მოესწარი დედობას"; „ბოროტო და უბოროტესო, დაგწყევლოს უფალმა და გაგანადგუროს,

ჩაბარდები მალე მოუსავლეთში წასულ არქივს. დამთავრდა შენი დრო, მეორედ აგღიძრავენ და მესამედ პროკურატურაში საქმეებს. ჩამოვიდე სტრასბურგიდან! გამოგიჩიჩქნი ყველაფერს და სანამ სამართლებრივად არ გავიმარჯვებ შენზე მანამ არ მოგეშვები. ბოროტო სულო“.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გაგზავნილი შეტყობინებები.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ რ.ც.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ,,შეტყობინება ადვოკატს ბარდება განმცხადებლის მიერ მითითებულ მისამართზე. თუ ამ მისამართზე ადვოკატთან დაკავშირება შეუძლებელია, შეტყობინება იგზავნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ მონაცემებში არსებულ ადვოკატის მისამართზე. ამ შემთხვევაში შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად, თუნდაც ადვოკატი აღარ იმყოფებოდეს ამ მისამართზე ან მან უარი განაცხადოს შეტყობინების ჩაბარებაზე.“ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 21 პუნქტის მიხედვით, ადვოკატი ვალდებულია მისი მონაცემების ცვლილების შესახებ მისი წარმოშობიდან 2 კვირის ვადაში აცნობოს ადვოკატთა ასოციაციას. შესაბამისად, ადვოკატი მის მიერ წარმოდგენილი მონაცემების სისწორეზე თავად არის პასუხისმგებელი. საპროცესო კოლეგია ადვოკატთან დაკავშირებას შეეცადა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში არსებულ ადვოკატთა ერთიან სიაში დაცულ მონაცემებზე დაყრდნობით - ტელეფონის ნომერზე, მისამართსა და ელექტრონულ ფოსტაზე. ადვოკატთან დაკავშირება ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ ტელეფონის ნომერი მუდმივად გამორთულია ქსელიდან, ხოლო საფოსტო გზავნილები არ ბარდება მისამართზე არ ყოფნის გამო. შესაბამისად, ეთიკის კომისია უფლებამოსილია უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილება ნ.ხ.ს საჩივარზე ადვოკატ რ.ც.-ის პოზიციის შესახებ ინფორმაციის არქონის მიუხედავად.

6.2 ადვოკატმა რ.ც.-მ ნ.ხ.-ს მიმართ გაგზავნილი შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენებით დაარღვია შემდეგი ნორმები:

„ადვოკატი ვალდებულია: არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)).

,,ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე

არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას" (ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.4).

6.3 ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, რომელიც არ არის აბსოლიტური უფლება და საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მესამე ნაწილისა და 24-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად სიტყვისა და გამოხატვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს, ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე.

6.4 „ადვოკატების განსაკუთრებული სტატუსი, მათ ანიჭებთ ცენტრალურ პოზიციას მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის" (იხ.Nikula v. Finland, N31611/96, 26.06.2002, §45; Amihalachioaie v. Moldova, N60115/00, §27; Kyprianou v. Cyprus N73797/01, 15.12.2005, §173; André and Another v. France, N18603/03, 24.07.2008, §42). ადვოკატთა შესახებ კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს კიდევ უფრო ზღუდავს ადვოკატების შემთხვევაში, ვინაიდან ადვოკატის მიერ წარმოთქმულ შეურაცხმყოფელ ფრაზას შეუძლია დააზიანოს არამარტო კონკრეტული პირის უფლებები, ასევე მას შეუძლია ხელი შეუშალოს ადვოკატის პროფესიის როლის გაძლიერებას და მისი წარმომადგენლებისადმი საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის დამკვიდრებას. შესაბამისად, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავაოს არაეთიკური გამონათქვამებისგან, რათა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის პროფესიას და მართლმსაჯულების ინტერესებს. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას კი ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა შეუძლია იმ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რომელიც ემსახურება ადვოკატის როლის განმტკიცებას და მის მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას.

6.5 „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა" (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე *R.S and Z v Switzerland*).

6.6 განხილვის კოლეგიამ უდავო ფაქტად დაადგინა, ადვოკატ რ.ც.-ის მიერ საჩივრის ავტორის მიმართ სოციალური ქსელის საშუალებით განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები. კერძოდ, ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის მისამართით გაგზავნილი იყო შემდეგი ფრაზები: „შენ ვის გაუბედე შენ უტვინოვ, სამსახურიდან გაშვება, არანაირი განათლება და კულტურა შენ არ გაგაჩნია, ადამიანობას, რომ თავი დავანებოთ, შენ ხარ გათამამებული და გრ. იოსელიანის ხელდასმული კორუმპირებული ადამიანი"; „ბოროტო სულო"; „შენ არ გაიხარე და არ მოესწარი დედობას"; „ბოროტო და უბოროტესო, დაგწყევლოს უფალმა და გაგანადგურო, ჩაბარდები მალე მოუსავლეთში წასულ არქივს. დამთავრდა შენი დრო, მეორედ აგღიძრავენ და მესამედ პროკურატურაში საქმეებს. ჩამოვიდე

სტრასბურგიდან! გამოგიჩიჩქნი ყველაფერს და სანამ სამართლებრივად არ გავიმარჯვებ შენზე მანამ არ მოგეშვები. ბოროტო სულო“.

6.7 მართალია ადვოკატი რ.ც. ნ.ხ.-სთვის შეტყობინებების გაგზავნის დროს არ ასრულებდა საადვოკატო საქმიანობას, მაგრამ ის მხარედ იყო ჩართული ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავაში ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის წინააღმდეგ, რომლის მმართველიც იყო ნ.ხ.. შესაბამისად, ადვოკატი რ.ც. სოციალურ ქსელში შეტყობინებების გაგზავნის დროს არ იყო გათავისუფლებული პროფესიული ქცევის წესების დაცვისგან, ვინაიდან მას პროფესიული ქცევის წესების დაცვა მართებდა პროცესის მონაწილე პირთან - ნ.ხ.-სთან ურთიერთობისას. შესაბამისად, განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის პოზიციას და მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა რომ ადვოკატი რ.ც. სასამართლოში მიმდინარე დავაში გამოდიოდა მხარედ, მას როგორც ადვოკატს მართებდა პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესებით მოქმედება. აღნიშნულ მიდგომას იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაც, 2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილებაში საქმეზე დს-შ/5-15, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ ის გარემოება, რომ ადვოკატი სასამართლოში განსახილველ საქმეში „გამოდიოდა არა წარმომადგენლად, არამედ მხარედ, არ ათავისუფლებდა მას პროფესიული ქცევის წესის დაცვისაგან”.

6.8 ეთიკის კომისიამ ადვოკატ რ.ც.-ის გაგზავნილი შეტყობინებები შეაფასა მისი გაგზავნის ფორმისა და შინაარსის კუთხით. წინადადება - „შენ ვის გაუბედე შენ უტვინოვ, სამსახურიდან გაშვება, არანაირი განათლება და კულტურა შენ არ გაგაჩნია, ადამიანობას, რომ თავი დავანებოთ, შენ ხარ გათამამებული და გრ. იოსელიანის ხელდასმული კორუმპირებული ადამიანი“, გაგზავნილია რ.ც.-ის პირადი სოციალური ქსელიდან, პირადი შეტყობინების სახით საჩივრის ავტორის ნ.ხ.ს მიმართ. საქართველოს უზენაესი სასამართლომ 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით საქმეზე Nას-591-591-2018 აღნიშნა, რომ „სამოქალაქო განათლების ლექსიკონის თანახმად, სიტყვა „კორუმპირებული“ განიმარტება, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ქცევის სტანდარტების უარყოფა არაკანონიერი პირადი სარგებლის მიღების მიზნით, ანუ ქმედების კორუმპირებულად შეფასებისას და მისი ნამდვილობა-მცდარობის შესაფასებლად, განცხადების გამავრცელებელი ფაქტის დონეზე უნდა მიუთითებდეს მტკიცებას დაქვემდებარებულ ისეთ გარემოებებზე, რომლებიც თეორიულად დაადასტურებდა ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან პირადი სარგებლის მიღების მიზნით მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას“, შესაბამისად სასამართლომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის 7.5. მუხლის შესაბამისად, სიტყვა „კორუმპირებული“ გავრცელებული ინფორმაციის კონტექსტში შეაფასა აზრად, ვინაიდან ის არ ახდენდა ფაქტობრივი გარემოებების დემონტრირებას. მოცემულ შემთხვევაშიც, ადვოკატი რ.ც. ნ.ხ.სთვის „კორუმპირებული ადამიანით“ მიმართვის დროს არ მიუთითებს ფაქტის დონეზე მტკიცებას დაქვემდებარებულ რომელიმე გარემოებაზე, შესაბამისად ფრაზები - „შენ უტვინოვ“, „განათლება და კულტურა არ გაგაჩნია“ და „კორუმპირებული ადამიანი“ წარმოადგენს შეფასებას ანუ საჩივრის ავტორის აზრს, რომელიც დაცულია აბსოლიტური

პრივილეგიით (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის 4.1 მუხლი), თუმცა აბსოლიტური პრივილეგია არ გულისხმობს აბსოლიტურ უფლებას და ის შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც აზრი გადმოცემულია უხამსი ან/და ძალადობრივი ენით. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის 1(ვ) მუხლით „უხამსობა არის განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს“. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ფრაზებს არ გააჩნიათ ამ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე დატვირთვა, შესაბამისად მათ საჩივრის ავტორი აღიქვამს პირად შეურაცხყოფად. მართალია უზენაესმა სასამართლომ სიტყვა „კორუმპირებული“ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებში მოაქცია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ამ სიტყვის გამოყენება ადვოკატის მხრიდან არაეთიკურია, ისევე როგორც არაეთიკურია „შენ უტვინოვ“ და „განათლება და კულტურა არ გაგაჩნია“. ადვოკატის მიერ ასეთი სიტყვებით პირის მოხსენიება ზიანის მომტანია არამარტო ამ სიტყვების ადრესატისთვის, ასევე ზიანის მომტანია ადვოკატთა კორპუსისთვის და ადვოკატის პროფესიის სანდოობისთვის.

6.9 ასევე ადვოკატ რ.ც.-ის მიერ ნ.ხ.სთვის პირადი შეტყობინების სახით არის გაგზავნილი შემდეგი წინადადებები -„შენ არ გაიხარე და არ მოესწარი დედობას“; „ბოროტო და უბოროტესო, დაგწყევლოს უფალმა და გაგანადგუროს, ჩაბარდები მალე მოუსავლეთში წასულ არქივს. დამთავრდა შენი დრო, მეორედ აგღიძრავენ და მესამედ პროკურატურაში საქმეებს. ჩამოვიდე სტრასბურგიდან! გამოგიჩიჩქნი ყველაფერს და სანამ სამართლებრივად არ გავიმარჯვებ შენზე მანამ არ მოგეშვები. ბოროტო სულო“. აღნიშნული წინადადებები საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებთან წინააღმდეგობაში მოდის, ვინაიდან ისინი შეიცავს ძალადობრივ ხასიათის ფრაზებს, რასაც შეუძლია საშუალო ფსიქიკის მქონე ადამიანის პროვოცირება - აღნიშნულ ფრაზებს უპასუხოს ძალადობრივი ქმედებით. მართალია თითოეული ადამიანი თავად ირჩევს, როგორი ტერმინოლოოგიით ისაუბროს, იქნება ეს დახვეწილი თუ უხეში, მაგრამ ადვოკატებს მართებთ მეტი თავშეკავება კლიენტებთან თუ პროცესის მონაწილეებთან არ გამოიყენონ შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია. განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ გაგზავნილი აღნიშნული ფრაზები არ ჯდება საყოველთაოდ დამკვიდრებულ მორალისა და ზნეობის ფარგლებში, ისინი გამოირჩევა განსაკუთრებული აგრესიით და მიუღებელია საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.

6.10 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა რ.ც.-მ სადავო წინადადებების გაგზავნით დაარღვა ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმები, რაც ეთიკის კომისიას ანიჭებს უფლებას ჩაერიოს ადვოკატის მოქმედებებში და მიუთითოს მას დარღვევის მნიშვნელობაზე, ვინაიდან ადვოკატის მიერ უხამსი ან ძალადობრივი ენით გაკეთებული განცხადებები ქმნის ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის საფუძველს, სხვათა უფლებების და ადვოკატის კორპუსის დაცვის საპირწონედ.

6.11 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

6.12 დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/3-15).

6.13 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის..., შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17).

6.14 ეთიკის კომისიის პრაქტიკა ადვოკატის მიერ პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარისათვის სასამართლო დარბაზში შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, მოიცავს დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილების დაკისრებას (ეთიკის კომისიის 2014 წლის 02 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №114/13). ეთიკის კომისიამ ასევე დარღვევად მიიჩნია ადვოკატის მიერ პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის შეურაცხმყოფელი ტერმინით მოხსენება სასამართლოსადმი მიმართულ განცხადებაში, სადაც ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ გამოიყენა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება (ეთიკის კომისიის 2014 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №043/14). შესაბამისად, ეთიკის კომისიის პრაქტიკა დისციპლინური ღონისძიებების სახით მოიცავს, როგორც სახდელს ასევე ზემოქმედების ღონისძიებას, ვინაიდან კომისიას სადავო ფრაზები შეფასებული ჰქონდა საქმის კონკრეტული გარემოებების ჭრილში, ამასთან კომისია გადაწყვეტილების დროს ითვალისწინებდა ადვოკატის დამოკიდებულებას ჩადენილი გადაცდომის მიმართ.

6.15 აღსანიშნავია, რომ ეთიკის კომისიის პრაქტიკა არ მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადვოკატი პირადი შეტყობინებების სახით უგზავნიდა მოწინააღმდეგე მხარეს შეურაცხმყოფელი ტექსტის შემცველ შეტყობინებებს, რასაც განსახილველ შემთხვევაში აქვს ადგილი. კომისიისათვის ასევე უცნობია ადვოკატის დამოკიდებულება გადაცდომის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს იმას, რომ გაგზავნილი შეტყობინებები მოიცავდა „განსაკუთრებით შეურაცხმყოფელ და ღვარძლიან ტერმინებს“, რაც ქმნის ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილების

დაკისრების საფუძველს. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ აღნიშნულ სანქცია აქვს გარკვეული მნიშვნელობა და ის განპირობებული რ.ც.-ის ადვოკატის სტატუსით.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 35-ე, მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 35-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე ნაწილით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №156/18 ადვოკატ რ.ც.-ის მიმართ /სიითი №1007/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ რ.ც.ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/